# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2737 2016 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის $10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, 2016 წლის 3-4 დეკემბრის სტიქიის შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, 260 506 (ორას სამოცი ათას ხუთას ექვსი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი